

# სახელმწიფო აუდიტის სამსახური



## „ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ“

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების  
ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტის  
უფროსი

*ჭ. ჭყიშვილი*

ზურაბ ბუცხრიკიძე

„15“ *აპრილი* „2014 წელი“

ეგზ. 1

ქ.თბილისის მერიის მიერ 2009-2011 წლებში ქალაქის გამწვანების  
ღონისძიებების პროგრამის ფარგლებში გაწეული საქმიანობის შესაბამისობის  
აუდიტის 2013 წლის 28 ივნისის №26/00 ანგარიშში ცვლილების შეტანის შესახებ

*018700*

სახელმწიფო აუდიტის სამსახურში 2013 წლის 7 აგვისტოს პრეზიდიუმის №3/35 გადაწყვეტილების შესაბამისად, დამატებით განხორციელდა ქ.თბილისის მერიის მიერ 2009-2011 წლებში ქალაქის გამწვანების ღონისძიებების პროგრამის ფარგლებში გაწეული საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის 2013 წლის 28 ივნისის №26/00 ანგარიშში დაფიქსირებული ორი საკითხის შესწავლა.

1. „ჯორჯ ბუშის ქუჩიდან ქ.თბილისის საერთაშორისო აეროპორტამდე გზის გამყოფი ზოლების სარწყავი სისტემის მოწყობის სამუშაოების შესყიდვის“ თავში (გვ. 8) დაკონკრეტდა სარწყავი სისტემის ფუნქციონირების პერიოდი და ჩამოყალიბდა შემდეგი სახით:

***ჯორჯ ბუშის ქუჩიდან ქ.თბილისის საერთაშორისო აეროპორტამდე გზის გამყოფი ზოლების სარწყავი სისტემის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა***

2008 წელს განხორციელდა ჯორჯ ბუშის ქუჩიდან ქ.თბილისის საერთაშორისო აეროპორტამდე გზის გამყოფი ზოლების სარწყავი სისტემის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა. აღნიშნული სამუშაოები შესრულებულია შპს „ნოვა“-ს, შპს „წყალკანალრემშენის“, ი/მ „ალექსანდრე გუგულაშვილი-მეტეხის“, შპს „პარმა“-სა და შპს „აგრონოვაცია“-ს მიერ. სამუშაოების მთლიანმა ღირებულებამ შეადგინა 3,277.9 ათასი ლარი, მათ შორის: განაპირა მარცხენა და მარჯვენა ზოლებში – 2,585.4 ათასი ლარი, ხოლო შუა გამყოფ ზოლში – 692.5 ათასი ლარი.

მიუხედავად მერიის მიერ გაწეული ხარჯისა<sup>1</sup>, განაპირა ზოლებზე სარწყავი სისტემა აუდიტის პერიოდში<sup>2</sup> და აუდიტის მიმდინარეობისას არ ფუნქციონირებდა. ეს ფაქტი დასტურდება მერიის თანამშრომელთა განმარტებებით, ვიზუალური დათვალიერებითა და ასევე დოკუმენტურად. დადგინდა, რომ 2009-2011 წლებში ტერიტორიის მორწყვა უნდა განხორციელებულიყო მოვლა-პატრონობის

---

<sup>1</sup> 2,585.4 ათასი ლარი

<sup>2</sup> 2009-2011 წლები

ლონისძიებებიდან, თუმცა ხარჯები არ ფიქსირდება. სარწყავი სისტემის გამოყენებით მორწყვა ხორციელდებოდა მხოლოდ შუა ზოლში.

სარწყავი სისტემის გამოუყენებლობის მიზეზად შეიძლება განხილული იქნეს: სისტემის მოწყობის შეუსრულებელი სამუშაოები, უხარისხოდ დამონტაჟება, დატაცების ან/და დაზიანების ფაქტები. აღნიშნული შემთხვევების გამოვლენისთანავე საჭირო იყო შესაბამისი ღონისძიებების გატარება და კონკრეტული მიზეზების დაფიქსირება. ფაქტების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენლობის გამო მიზეზების დადგენა ვერ მოხერხდა.

აღნიშნული სამუშაოების დამთავრებისა და შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტების შედგენის შემდგომ, მერიის შესაბამისი სამსახურის მიერ აღნიშნული სარწყავი სისტემა ბუღალტრულად შემოსავალში აღრიცხული არ არის.

2. „შპს „კედარი“ – კახეთის გზატკეცილზე მწვანე ნარგაობებისათვის სამაგრების მოწყობის“ თავი (გვ. 11) შეიცვალა და ჩამოყალიბდა შემდეგი სახით:

***შპს „კედარი“ – კახეთის გზატკეცილზე მწვანე ნარგაობებისათვის სამაგრების მოწყობა***

2010 წელს კახეთის გზატკეცილზე, აეროპორტის ტრასის შუა ზოლში, მწვანე ნარგაობისათვის სამაგრების მოწყობის სამუშაოებზე შპს „კედართან“ გაფორმდა ხელშეკრულება<sup>3</sup> 199.7 ათას ლარზე. სამუშაოები მოიცავდა რკინის ბოძების დაბეტონებას და მასზე მწვანე ნარგავების დასამაგრებელი საშუალებების მოწყობას.

აღნიშნულ სამუშაოებთან დაკავშირებით სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აუდიტორების, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ექსპერტიზის სამსახურის თანამშრომლების, ქ.თბილისის მერიის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირებისა და აეროპორტის ტრასის მწვანე ზოლის მოვლა-პატრონობაზე კონტრაქტორი ფირმის თანამშრომლების მონაწილეობით 2012 წლის ივლისში განხორციელებული

---

<sup>3</sup>N<sup>o</sup>21/665-1

საკონტროლო აზომვებით გამოვლინდა, რომ ფორმა №2-ის მიხედვით შესრულებულად ნაჩვენები სამუშაოების მოცულობა არ ემთხვევა ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების საერთო მოცულობას. კერძოდ, აუდიტის ჯგუფის მიერ ჩატარებული აზომვების და განხორციელებული დაანგარიშების შესაბამისად, კახეთის გზატკეცილის შუა ზოლში, მწვანე ნარგაობების სამაგრების მოსაწყობად ჩატარებული სამუშაოებისთვის გამოყოფილი თანხიდან (199.7 ათასი ლარი) შესრულებაში ზედმეტად ნაჩვენებმა და, შესაბამისად, მერიის მიერ ზედმეტად ანაზღაურებულმა სამუშაოების ღირებულებამ, დარიცხვების გათვალისწინებით, შეადგინა 93 ათასი ლარი.

ქ.თბილისის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის დაკვეთით, 2013 წლის 4 ივნისს განხორციელდა შპს „კედარი“-ს მიერ შესრულებული სამუშაოების ექსპერტიზა „სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ“. ექსპერტიზის დასკვნაში აღნიშნულია, რომ „შპს „კედარი“-ს მიერ ქ.თბილისში კახეთის გზატკეცილის შუა გამყოფ ზოლში, მცენარეებისათვის მოწყობილი სამაგრი ბოძებისა და მათი საყრდენების მოწყობის ფაქტიური მოცულობები და ღირებულებები რიგ შემთხვევაში არ შეესაბამება წარმოდგენილ ფორმა №2-ში მოცემულ სამუშაოთა მოცულობებსა და რაოდენობებს. რა დროსაც, ფაქტიურად შესრულებულ სამუშაოთა ღირებულება, ნაცვლად ფორმა №2-ში ნაჩვენები 199 743 ლარისა, შეადგენს 198 588 ლარს დღგ-სა და სხვა დარიცხვების ჩათვლით. სხვაობა ნაკლებობით შეადგენს 1 155 ლარს“.

სამაგრების მოწყობის სამუშაოების შესყიდვასთან დაკავშირებით, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2012 წლის ივლისში ჩატარებული საკონტროლო აზომვებისა და ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ 2013 წლის ივნისის თვეში ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნის შედეგები არსებითად განსხვავდება მერიის მიერ შესასრულებელ სამუშაოთა ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებულ და 2010 წლის დეკემბერში ფაქტობრივად შესრულებულ სამუშაოთა დამადასტურებელ დოკუმენტებში (ფორმა №2) მითითებულ სამუშაოთა მოცულობებისაგან. აღნიშნულის

გამო, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2013 წლის სექტემბრის თვის მიმართვის საფუძველზე, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ განხორციელდა დამატებითი ექსპერტიზა, აუდიტის სამსახურის მიერ დასმული შემდეგი კითხვებით:

- ❖ „რატომ განსხვავდება ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ 2013 წლის ივნისის თვეში ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვის მონაცემები მერიის მიერ შესასრულებელ სამუშაოთა ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებულ და 2010 წლის დეკემბერში ფაქტობრივად შესრულებულ სამუშაოთა დამადასტურებელ დოკუმენტებში (ფორმა №2) მითითებულ სამუშაოთა მოცულობებისაგან“;
- ❖ „დადგინდეს მერიის შესაბამისი სამსახურის მიერ 2010 წლის დეკემბერში შედგენილ ხარჯთაღრიცხვაში ნაჩვენები 2,5 მეტრი ბოძის დ-40 მმ მილების ჩაბეტონების, მათ ჩასამაგრებლად ორმოების ამოღებისა და მიწის გატანის სამუშაოების მოცულობების შესაბამისობა ნორმატივით ან/და პრაქტიკით დადგენილ სტანდარტებთან (ხარჯთაღრიცხვის შედგენის სისწორე)“;
- ❖ „დადგინდეს რეალურად 2010 წლის დეკემბერში და დამატებით 2012-2013 წლებში მწვანე ნარგავებისათვის სამაგრების მოსაწყობად მილების დაჭრაზე, მილების ჩასამაგრებლად ორმოების ამოღებაზე, მიწის გატანასა და მილების ჩაბეტონებაზე ჩატარებული სამუშაოების ურთიერთგამიჯვნა შესრულების პერიოდების შესაბამისად. კერძოდ, საკონტროლო აზომვებითა და შესაბამისი ექსპერტიზით განისაზღვროს, კონკრეტულად თუ რა მოცულობის სამუშაოები იქნა ჩატარებული 2010 წლის დეკემბერსა და 2012-2013 წლებში; დადგინდეს სახელმწიფო აუდიტის სამსახურისა და სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ ჩატარებული ექსპერტიზის მონაცემებს შორის არსებული განსხვავებების მიზეზები“;
- ❖ „ობიექტის შეუფერხებლად ფუნქციონირებისათვის, იყო თუ არა აუცილებელი 2012-2013 წლებში სამუშაოების დამატებით ჩატარება. კერძოდ, 2010 წლის

დეკემბერში ჩაბეტონებულ ბოძებზე დამატებითი ბეტონის ჩასხმა და 304 ახალი ბოძის დამატება“;

აღნიშნული შეკითხვებიდან ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ 2014 წლის 22 იანვარს შედგენილი დასკვნის (№ 5000289014) შესაბამისად, ჩვენს მიერ დასმულ პირველ და მეორე კითხვებზე პასუხი საერთოდ არ გაცემულა, ხოლო მე-3 და მე-4 კითხვებზე პასუხები გაცემულია ნაწილობრივ. კერძოდ, მე-3 შეკითხვიდან პასუხგაუცემელი დარჩა 2010 და 2012-2013 წლებში დამატებით შესრულებული სამუშაოების გამიჯვნისა და მოცულობების დადგენის საკითხი. ხოლო მე-4 საკითხიდან ვერ დადგინდა დამატებით 304 ბოძის ჩაბეტონების საჭიროების (აუცილებლობის) შესახებ. ექსპერტიზის სამსახურის მიერ გაცემული დასკვნის შესაბამისად დადგენილ იქნა, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახურისა და შემდგომ მერიის დაკვეთით ექსპერტიზის სამსახურის მიერ გაცემულ დასკვნებს შორის განსხვავებები გამოწვეულია აუდიტის სამსახურის მიერ ექსპერტიზის ჩატარების შემდგომ პერიოდში დამატებითი სამუშაოების შესრულებით. გარდა აღნიშნულისა, მე-4 შეკითხვის შესაბამისად დადგენილ იქნა, რომ დამატებითი სამუშაოების შესრულების შედეგად ჭარბად (ზედმეტად) გახარჯულმა ბეტონის მოცულობამ შეადგინა 88.74 კბ.მეტრი. აღნიშნულიდან გამომდინარე, მერიის მიერ შედგენილი ხარჯთაღრიცხვის გათვალისწინებით, ზედმეტად (დაუსაბუთებლად) შესრულებულმა სამუშაოებმა, მასალების, ხელფასებისა და დარიცხვების გათვალისწინებით, შეადგინა 29371 ლარი.

2012 წლის ივნისის თვეში, როდესაც სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ განხორციელდა შესრულებული სამუშაოების შემოწმება, ნარგაობებისთვის მოწყობილი სამაგრები ფუნქციონირებდა<sup>4</sup>. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აუდიტორებისა და ექსპერტიზის სამსახურის თანამშრომლების აზრით, ვიზუალური

---

<sup>4</sup> 2010 წლის დეკემბრიდან 2012 წლის ივლისამდე პერიოდში ობიექტი ფუნქციონირებდა ყოველგვარი შეფერხებების გარეშე.

დათვალიერებით, ობიექტი აღარ საჭიროებდა დამატებითი სამუშაოების განხორციელებას.

აუდიტის ჯგუფისთვის გაურკვეველია, აუდიტის სამსახურის მიერ ექსპერტიზის ჩატარების შემდგომ პერიოდში თუ რა მოცულობისა და ღირებულების სამუშაოები იქნა დამატებით ჩატარებული, ვის მიერ (მერია თუ შპს „კედარი“) და ვისი დაფინანსებით. ამდენად, შესაბამისი კომპეტენტური (სამართალდამცავი) ორგანოების მიერ 2010 წლის დეკემბერში შესრულებაში ზედმეტად ნაჩვენები (ანაზღაურებული) სამუშაოების ღირებულებასთან ერთად შესასწავლია დამატებითი (არასაჭირო) სამუშაოების შესრულებისა და გამოყოფილი თანხების შესახებ.

აღნიშნული ცვლილებები წარმოადგენს ქ.თბილისის მერიის მიერ 2009-2011 წლებში ქალაქის გამწვანების ღონისძიებების პროგრამის ფარგლებში გაწეული საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის 2013 წლის 28 ივნისის №26/00 ანგარიშის განუყოფელ ნაწილს.

#### **აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი**

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, აუდიტის ანგარიში ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურში.

#### **აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

წამყვანი აუდიტორი:

მურმან დარახველიძე



ხელმოწერა

თარიღი

აუდიტორი:

თეა უდესიანი



ხელმოწერა

თარიღი